12/02/2021

გორისა და ატენის მიტროპოლიტი: სინოდის განჩინებას საზოგადოებას მალე გავაცნობთ

საქართველოს საპატრიარქოს კედლებში გაიმართა წმინდა სინოდის მორიგი სხდომა. სხდომის საკითხები ფრიად მნიშვნელოვანი იყო. სინოდმა განიხილა დაახლოებით ათამდე საკითხი, – ამის შესახებ სინოდის სხდომის დასრულების შემდეგ გორისა და ატენის მიტროპოლიტმა, ანდრია გვაზავამ ისაუბრა.

„განხილული საკითხები ეხებოდა დავით გარეჯს, ასევე ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიც არის პანდემია. ასევე იმ ცილისმწამებლურ განცხადებებს, რომლებიც გაკეთდა წმინდა სინოდის მიმართ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გადაყენებასთან დაკავშირებით. ყველაფერი იქნება ჩამოყალიბებული სინოდის განჩინებაში და ამ განჩინებას საზოგადოებას მალე გავაცნობთ“, – განაცხადა ანდრია გვაზავამ.

— imedinews.ge